ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29.29213374**
თარიღი:**03/12/2021**

სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ

საკრებულოს წევრთა და საკრებულოს უფლებამოსილების ცნობასთან, აგრეთვე საკრებულოს ფრაქციების შექმნასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების მომზადებისა და საკრებულოსათვის წარდგენის მიზნით , საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N7 დადგენილების 41-ე და 44-ე მუხლების შესაბამისად **თ**ერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. არჩეულ იქნეს საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ბადრი ბუცხრიკიძე

2. მანუჩარ ფანჩულიძე

3. შალვა ჭანკვეტაძე

მუხლი 2. დაევალოს კომისიას თავისი შემადგენლობიდან აირჩიოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

მუხლი 3. სამანდატო დროებითი კომისია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საკრებულოს მიერ შესაბამისი ფუნქციის მუდმივი კომისიის შექმნამდე;

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმომწერისთანავე.

ამირან ვერულაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს უხუცესი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM